

# მედიაციის პროგრამის გამოწვევებისა და შედეგების სისტემური ანალიზი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ქ-ნ შორენა სამაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი:

*როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.*

ნინო კაციტაძე

2021 წელი.

## აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის მიზანია მკითხველს ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოში განრიდებისა და მედიაციის პროგრამის, კერძოდ კი მედიაციის გამოწვევებზე, მედიატორისა და დაზარალებულის მხრიდან მედიაციაზე უარის თქმის მიზეზებზე, მედიაციის პროგრამის გამოწვევებზე, წარმატებული მედიაციის ინდიკატორებსა და მედიაციის შედეგებზე, როგორც დაზარალებულისთვის და დანაშაულის ჩამდენისათვის, ასევე საზოგადოებისთვის.

მონაცემების შეგროვებისათვის გამოყენებულია კვლევის თვისობრივი მეთოდი, კერძოდ სიღრმისეული ინტერვიუები სსიპ. დანაშაულის პრევენციის, არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ბაზაზე შექმნილი მედიაციის სახლის ქ.თბილისის, ქვემო ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და იმერეთის მედიატორებთან. ნაშრომში ასევე გაანალიზდა სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურა, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის სტატისტიკური მონაცემები და საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

კვლევის ძირითად შედეგებში გამოიკვეთა, დაზარალებულისა და მედიატორის მხრიდან მედიაციაზე უარის თქმის მიზეზები. მნისვნელოვანი მიგნებაა, რომ ქვეყანაში არ არსებობს მედიაციის პროცესის წარმატების განმსაზღვრელი ოფიციალური, ნათელი ინდიკატორები. ასევე, გამოიკვეთა მედიაციის ძირითადი გამოწვევები, რომლებიც მოიცავს დაზარალებულის მხრიდან მედიაციაზე უარის თქმის შემთხვევებს და დაზარალებულთათვის ფსიქო-სოციალური სერვისების არარსებობას. გამოიყო მედიაციის შედეგები დაზარალებულთათვის და განსარიდებლისთვის, რომლებიც ემოციურ და არაემოციურ ნაწილებად დაიყო და ასევე, მედიაციის შედეგები საზოგადოებისათვის, რომელიც ქვეყანაში რეციდივის დაბალ ალბათობასა და მაჩვენებელს უკავშირდება.

საკვანძო ტერმინები: მედიაცია, დაზარალებული, განსარიდებელი, მედიატორი.

## Abstract

Aim of the following work is to provide information about Georgian Diversion and Mediation program, in particular challenges of that system and reasons for refusing to participate in that program from victims, indicators of successful mediation not for only victim and culprit, but also for a society.

Qualitative research method was used to gather data in this research, in particular In-depth interviews with Mediators of National Probation Agency from Tbilisi, Kvemo Kartli, Samegrelo-Zemo Svaneti and Imereti. Research also analyzes different scientific literature, statistics from Diversion and Mediation program and Legislative Herald of Georgia.

Research showed the results about refusal of mediation program. Important findings were that there are no clear indicators to measure successful diversion and mediation in our country. Research also found primary challenges of mediation program, which are facts that victims refuse to participate in mediation program and there are no psycho-social services for them. Results also sorted the results of mediation for both sides, which were categorized in emotional and non-emotional parts, also mediation results for a Society, which are internally connected to low relapse rate.

Key Words : Mediation, Victim, Culprit, Mediator

## მადლობა

მადლობას ვუხდით თემის ხელმძღვანელს, ქ-ნ შორენა სამაგლიშვილს, რომელიც მაქსიმალურად მეხმარებოდა ნაშრომის წერის პროცესში. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო მედიაციის სახლის მედიატორებს, კვლევაში მონაწილეობისათვის, გაზიარებული ცოდნისა და გამოცდილებისთვის.